

შპს AWARD (404406914)

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის
(მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი:

ზოგადი ინფორმაცია

საბუღალტრო პოლიტიკა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ანგარიშგებაში წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „AWARD“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2011 წლის 23 აგვისტოს.

საიდენტიფიკაციო კოდია 404406914. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ზანდუკელის ქ. (ყოფ. ჯავახიშვილის ქუჩა) #4/3.

Dcc.award@gmail.com

ელ.ფოსტა

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა: აღმასრულებელი დირექტორი-აკაკი ბოჭორიშვილი
პ.ნ 21001006850.

მესაკუთრე	წილი
თორნიკე ჭკადუა პ.ნ. 30001003798	33%;
ირაკლი ჭკადუა პ.ნ. 30001001538	33%;
ნიკოლოზ ჭკადუა პ.ნ. 30001001278	34%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზების; ხიდების და სხვა სპეციალიზებული სამშენებლო ობიექტების მშენებლობა

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა. წინამდებარე ანგარიშგება მისი წარდგენის მომენტში არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორ(ებ)ის მიერ პარტნიორობა კრებაზე. კომპანიის პარტნიორ(ებ)ს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი

ბუღალტერი

პაატა ჩარეჩიშვილი

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც (ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

(ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღიარების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები;

დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია

ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი

ბუღალტერი

პაატა ჩარეხიშვილი

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- შენობა-ნაგებობები 5%;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 20%;
- სატრანსპორტო საშუალებები 15%;

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუი ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

(ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური

სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც


(ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;

(ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და

(გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.


ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბრჭოლიშვილი



ბუღალტერი

პატარეიშვილი



3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

(ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და

(ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;

ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

(ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;

(ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან

(გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.


3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.


ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი



ბუღალტერი

პაატა ჩარჭიშვილი



3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);

ბ) სხვა აქტივების ანგარიშზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორშვილი

ბუღალტერი

პაატა ჩარეკიშვილი

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
 - (ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
 - (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
 - (დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
 - (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
- მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:
- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
 - (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
 - (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
 - (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება


კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავისმხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.


ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი



ბუღალტერი

პაატა ჩარეიშვილი



შ.პ.ს. AWARD ს.ნ.404406914

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

პერიოდი	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
შენიშვნა		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	730247	2 313 655
სულ გრძელვადიანი აქტივები	730247	2 313 655
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	88070	53 296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3674388	1 531 850
გადახდილი ავანსები	1077275	669 436
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	711495	129 187
ფული და ფულის ეკვივალენტები	80864	39 018
სულ მიმდინარე აქტივები	5632091	2 422 788
სულ აქტივები	6362338	4 736 443
ვალდებულებები და კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	262 139	(453 655)
სულ საკუთარი კაპიტალი	262 139	(453 655)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	21419	580 956
გადავადებული გადასახადი	219976	93 659
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	241395	674 616
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	2217620	1 474 936
მიღებული ავანსები	172993	561 085
გადასახდელი ხელფასები	183483	166 044
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი	83582	207 780
საგადასახადო ვალდებულება	3201126	2 105 638
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5858803	4 515 482
სულ ვალდებულებები	6100199	5 190 098
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	6362338	4 736 443

ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი

ბუღალტერი

პაატა ჩარეკიშვილი


შ.პ.ს. AWARD ს.ნ 404406914

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

პერიოდი	31.12.2018	31.12.2017
შენიშვნა		
ამონაგები რეალიზაციიდან	15289254	12703122
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(12 189 302)	(9 413 555)
საერთო მოგება	3099952	3289567
კომერციული დანახარჯები	(13 567)	(32 279)
ადმინისტრაციული დანახარჯები	(803 000)	(2 344 432)
საოპერაციო მოგება	2283385	912855
არასაოპერაციო შემოსავალი	2522	380263
არასაოპერაციო ხარჯები	(989 808)	(300 995)
სულ არასაოპერაციო შემოსავალები და ხარჯები	(987 287)	79 268
მოგება დაბეგვრამდე	1296098	992123
მოგების გადასახადი	194415	148819
წმინდა მოგება	1101684	843305


ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ზოჭორიშვილი



ბუღალტერი

კატა ჩარფიშვილი




შ.პ.ს. AWARD ს 404406914

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	დამფუძნებელ თა შენატანი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
საწყისი ნაშთი 01.01.207		(528 852)	(528 852)
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		843305	
გადახდილი დივიდენდი		(768 108)	
საბოლოო ნაშთი 31.12.2017		(453 655)	(453 655)
საწყისი ნაშთი 01.01.208		(453 655)	(453 655)
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		1101684	
გადახდილი დივიდენდი		(385 889)	
საბოლოო ნაშთი 31.12.2018		262 139	262 139


ხელმომწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი



ბუღალტერი

შაატა ჩარეჭიშვილი




შ.პ.ს. AWARD ს.ნ.404406914

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	31.12.2018	31.12.2017
პერიოდი		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14 331 266	14 084 144
გასული ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(12 218 927)	(10 792 015)
მომწოდებლებზე გადახდილი	(1 071 304)	(1 330 390)
გადახდილი ხელფასები	(4 162)	(71 575)
სხვა გასაფლავები	(320 618)	(380 689)
გადახდილი გადასახადები		
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	716 255	1 509 474
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული	546 500	
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(28 364)	(529 110)
სალიზინგო კომპანიებზე გადახდილი	(242 486)	(333 178)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	275 651	(862 289)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(366 594,5)	(729 703,0)
კურსთაშორის სხვაობის შემოსავალი/ზარალი	(1 157,4)	(2 566,4)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(367 752)	(732 269)
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა	624 153	-85 085
ფულის ნაშთი პერიოდის დასაწყისში	168 205	253 290
ფულის ნაშთი პერიოდის ბოლოს	792 358	168 205


ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი



ბუღალტერი

პაატა ჩარეიშვილი



განმარტებითი შენიშვნები

შ.პ.ს. AWARD № 6404406914

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბერის
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები	სატრანსპორტ საშუალებები	ავტო და სხვა ინვენტარი	სულ
ნაშთი 31.12.2016-ის მდგომარეობით	17 000	499 576	1681604	258891	2457071
დამატება	(17 000)	(499 576)	1 409 185	145387	1554571
აქტივების ჩამოწერა/გასვლა			(438 186)	0	(954 762)
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	0	0	2 652 602	404 277	3 056 879

აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 31.12.2016-ის მდგომარეობით		30 271	363 529	80827	474627
მიმდინარე ცვეთა		24 978	355 763	62579	443320
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		(55 249)	(119 474)	0	(174 723)
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	0	0	599 818	143 406	743 224
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	0	0	2 052 784	260 871	2 313 655

ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	0	0	2 652 602	404 277	3 056 879
დამატება			0	32 149	32149
აქტივების ჩამოწერა/გასვლა			(1 925 121)	0	(1 925 121)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	0	0	727 481	436 426	1 163 908

აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	0	0	599 818	143 406	743 224
მიმდინარე ცვეთა			232 550	80 604	313154
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			(622 717)	0	(622 717)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	0	0	209 651	224 010	433 661

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	0	0	517 830	212 416	730 247
--	---	---	---------	---------	---------

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი

ბუღალტერი

პაატა ჩარეშვილი


შ.პ.ს. AWARD ს.ნ.404406914

საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 2018
წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:


	31.12.2018	31.12.2017
მომსახურება	128372	127914
ხელფასი	469163	1755651
ცვეთა	20487	45969
კომუნალური ხარჯი	10607	10432
ოფისის იჯარა	55875	53000
მივლინება	8007	12940
საგადასახადო ხარჯი	8260	11427
სხვა საერთო ხარჯი	102229	327099
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	803 000	2 344 432

ხელმომწერი პირები:

დირექტორი საკაკი ბოჭორიშვილი



ბუღალტერი პაატა ჩარეჭიშვილი



არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები 2018 წლის 31
დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
არასაოპერაციო შემოსავლები		
უკულიზინგი		310940
საკურსო სხვაობა კონვერტაცია	77	2461
სადაზღვევო თანხის ანაზღაურება		2036
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2445	64827
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	2 522	380 263

	31.12.2018	31.12.2017
არასაოპერაციო ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი	36661	74214
ჯარიმები ხელშეკრულებების მიხედვით	160990	95266
საკურსო სხვაობა და კონვერტაცია	2403	9837
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		112939
ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტა	769266	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	20489	8739
სულ არასაოპერაციო ხარჯები	989 808	300 995

გადასახადები

მოგების გადასახადი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგების გადასახადი მოცემულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების სახით. გრძელვადიანი მოგების გადასახადი არის ანარიცხი რომელიც არის ფინანსური მოგების 15% და იგი მცირდება ესტონური მოდელის გატანილ დივიდენდზე დარიცხვის მიხედვით და აკუმულირდება მიმდინარე სხვა გადასახადებში.

მიმდინარე გადასახადი

საგადასახადო ვალდებულებაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა რისი დასრულების შემდეგაც შეიცვლება მიმდინარე ნაშთი.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი აკაკი ბოჭორიშვილი

ბუღალტერი

პაატა წარეიშვილი


შ.პ.ს. AWARD ს 5404406914

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2018
წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ნედლეული და მასალები	4 785 173	4 435 586
მომსახურება	6 195 580	4 494 289
ხელფასები	915 882	86 329
ცვეთა	292 667	397 351
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12 189 302	9 413 555

ხელმომწერი პირები:

დირექტორი ავარი ბოჭორიშვილი



ბუღალტერი

შატა ჩარეიშვილი

